**Contract №192**

Date: June 2, 2017.

**Procuring organization:**
Department of Tourism and Resorts of Ajara Autonomous Republic, represented by the Chairman Sulkhan Ghlonti.
Identification code : 245427809
Address: №84/86, Parnavaz Mepe Str.
Tel: (995 422) 277438
E-mail: info@gobatumi.com

**Supplier:**

**COMPANY NAME:** Maxposure Media Group India Pvt Ltd
**REG. ADDRESS:** Plot No 62, Okhla Phase 3, New Delhi 110020
**REG. NO:** U22229DL2006PTC152087
**VAT Reg:** 07596930264
**TELEPHONE:** +91 9873034344
**CEO:** Mr Prakash Johari
**BANK:** HDFC Bank Limited
**ADDRESS:** B-6/3 Safdarjung Enclave, Opp Dear Park, New Delhi 110029
**ACCOUNT NAME:** Maxposure Media Group India Pvt Ltd
**ACCOUNT NO:** 50200010723071
**SWIFT:** HDFCCINBBDEL
**IFSC CODE:** HDFC0000503
**MICR CODE:** 110240021

(Procurement is realized in accordance with Georgian law "On State Procurement" article 101, paragraph 3, subparagraph "d", Order N13 issued by the Chairman of the State Procurement Agency on August 17, 2015 "On Rules of Conducting Simplified Electronic Procurement and Simplified Procurement" article 3 subparagraph "d", Order of the Chairman of Ajara Autonomous Republic N37 issued on 17 March, 2017, SMP – 170000708; CPV–79341000).

**1. Contract Subject and Duration**

1.1 „Supplier" on demand of the procuring organization undertakes the duty to publish a full color page advertisement in one languages (English) about Ajara region in 82 000 copies of June/July edition of „Nawras" magazine of air company Air Arabia, which operates flights to 6 cities of Islamic Republic of Iran.

1.2 The procuring organization is responsible for the copyright of the advertising information provided to the supplier.

**2. Value of the Contract**

**ხელშეკრულება № 192**

თარიღი: 02 ივნისი 2017 წელი.

**დამკვეთი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, თავმჯდომარე სულხან ღლონტი. საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809

მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №84/86.
ტელეფონი: +995422 277438
ელ ფოსტა: info@gobatumi.com

**შემსრულებელი:**

**კომპანია:** შპს Maxposure Media Group India Pvt.
**მისამართი:** ფლოტი #62, ოკლა ფაზა 3, ნიუ დელი 110020
**რეგისტრაციის ნომერი:** U22229DL2006PTC152087
**დღგ-ს გადამხდელის ნომერი:** 07596930264
**ტელეფონის ნომერი:** +91 9873034344
**მთავარი აღმასრულებელი დირექტორი:** პრაკაშ ჯოჰარი
**ბანკი:** HDFC bank Limited
**მისამართი:** ბ-6/3 საფდარჯუნგის ანკლავი, ოპპ დეარ პარკი, ნიუ დელი 110029
**მიმღების დასახელება:** შპს Maxposure Media Group India Pvt.
**მიმღების ნომერი:** 50200010723071
**SWIFT:** HDFCCINBBDEL
**IFSC კოდი:** HDFC0000503
**MICR კოდი:** 110240021
(შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის „დ" ქვეპუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 17 მარტის N37 განკარგულების საფუძველზე, SMP – 170000708; CPV – 79341000).

**მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:**

**ხელშეკრულების საგანი და ვადა**

1.1 „შემსრულებელმა" „დამკვეთის" მოთხოვნისა და „დამკვეთის" მიერ მიწოდებული სარეკლამო მასალის შესაბამისად, უნდა განათავსოს აჭარის რეგიონის შესახებ რეკლამა, ერთგვერდიანი სარეკლამო სტატია ერთ ენაზე (ინგლისური) ავიაკომპანია Air Arabia-ს საბორტო ჟურნალში „Nawras", რომლის ტირაჟია 82000 ერთეული, რომელიც ასრულებს ავიარეისებს ირანის ისლამური რესპუბლიკის 6 ქალაქში, ივნისი-ივლისის თვის გამოცემაში.

1.2 დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის მიწოდებული სარეკლამო მასალის საავტორო უფლებებზე სრულ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს დამკვეთი.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **16000** (თექვსმეტიათასი) აშშ დოლარს:
2.2 ივნისის თვის მომსახურების საფასური შეადგენს - 8000 (რვაათასი) აშშ დოლარს;

2.1 The total value of the Contract is **16000** (sixteen thousand) US dollars;

2.2 The total price of the agreement for the procuring organization is 18880 (Eighteen thousand eight hundred eighty) US dollars including the taxes assigned by the Georgian Law.

2.3 Contract price includes all expenses of the Supplier and all taxes, related to performance of the service.

## 3. Quality

3.1 Provided service within the scope of this contract, should correspond to the standards and technical norms.

3.2 Supplier is liable for the service he provides, that it will comply with the contract terms and meet the Procuring Organization requirements.

3.3 Supplier is responsible for the quality of the performed service.

3.4 In case of the service set in the 1.1 articles is being performed in incomplete and/or defective way, the procuring organization is entitled to inform the supplier about the fact. Supplier is required to eliminate outstanding and/or defective service at its own expenses.

3.5 In case the supplier cannot provide the elimination of the defects procuring Organization is authorized to reject the service provided.

## 4. Rule of acceptance

4.1 The service will be considered complete only after signing delivery acceptance act and issuing an invoice in accordance with the law.

4.2 From Procuring organization side delivery acceptance act is signed by:

a) Sulkhan Ghlonti - Chairman of the department.

b) Nino Khakhubia – Head of Public Relations and Advertising Division at the department.

4.3 “Supplier” undertakes duty to provide the “procuring organization” with at least 5 (five) copies of „Nawras" magazine subsequent issue via post, before signing the act of delivery acceptance.

## 5. Terms of payment

5.1 The payment will be realized into two phases after affirming the signed act of acceptance and/or invoice (VAT invoice) after provision of the service not later than August 10, 2017:

a) Phase I – 8000 (eight thousand eight hundred) US dollars after providing the service for June;

b) Phase II - 8000 (eight thousand eight hundred) US dollars after providing the service for July;

5.2 The payment currency is US dollars.

2.3 ივლისის თვის მომსახურების საფასური შეადგენს -8000 (რვაათასი) აშშ დოლარს.

2.4 დამკვეთისთვის ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 18880 (თვრამეტიათას რვაასოთხმოცი) აშშ დოლარს.

2.3.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს „შემსრულებლის“ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

## 3. ხარისხი

3.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

3.2. „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს „დამკვეთის“ მოთხოვნებს.

3.3. „შემსრულებელი“ პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების ხარისხზე.

3.4. ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების არაჯეროვნად ან უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში „დამკვეთი“ უფლებამოსილია მიაწოდოს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია „შემსრულებელს“, რომელიც ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.

3.5. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხარვეზების აღმოფხვრას, „დამკვეთი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

## 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ინვოისის გაფორმების შემდეგ.

4.2. „დამკვეთის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირებია:

ა) სულხან ღლონტი - დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ბ) ნინო ხახუბია - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი.

4.3. „შემსრულებელი“ ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე „დამკვეთს“ ფოსტის საშუალებით მიაწოდოს Nawras-ის ჟურნალის მინიმუმ ხუთი ეგზემპლარი.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „შემსრულებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ორ ეტაპად: მომსახურების დასრულების შემდეგ, ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ინვოისის გაფორმებით

ა) I ეტაპის გადახდა - ივნისის თვის მომსახურების დასრულების შემდეგ, - 8000 აშშ დოლარი;

ბ) II ეტაპის გადახდა ივლისის თვის მომსახურების დასრულების შემდეგ - 8000 აშშ დოლარი.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება აშშ დოლარში.

5.3. გადახდის ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

5.4.„შემსრულებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ინვოისის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის

5.4 The method of payment is by transfer.
5.5 The payment is due within 10 (ten) days from the date of providing the invoice and signing the delivery acceptance act.

## 6.Responsibilities

6.1 In case of necessity, the procuring organization has the right to inspect the performance and quality of the service provided by the supplier at any time.
6.2 Procuring organization agrees and commits to remunerate the service costs in the terms of contract.
6.3 Supplier isauthorized to demand from the procuring organization the remuneration of the service it provides in the terms of contract.
6.4. Supplier is responsible to provide the procuring organization with the relevant service.

## 7.Contract Fulfillment Control

7.1 Procuring Organization is entitled to inspect the service at any period of contract fulfillment. That aims to check the correspondence of the service with the contract terms and procuring organization demands.

7.2 In case of the control regarded by the article, the procuring organization appoints Nino Khakhubia – Head of the public relations and advertising division.

## 8. Forfeit for unfulfilled contract obligations

8.1 In case the responsibilities undertaken by the articles 1.1 and 1.2 are not fulfilled or in case the fulfillment of the mentioned responsibilities is delayed, supplier agrees and commits to pay an interest in amount of 0.02% of the total contract price for each day of delay.
8.2 The fact of penalty payment does not free the supplier from the performance of its obligations.
8.3. If there is a case of undue fulfillment from the Supplier (apart from the cases when the fulfillment is delayed) and the additional term has expired or there is no use of setting an additional term, the Supplier will be fined by 3% of the value of unfulfilled duties.

## 9. Overpowering force -Force majeure

9.1 Both Parties are relieved from liability of non-performance of their obligations under the contract, if non-performance was caused by force majeure.
9.2 Overpowering force means circumstances which are irresistible and unforeseen; and are not in connection with any party's defaulting action and their

განმავლობაში.

## 6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. საჭიროების შემთხვევაში ,,დამკვეთი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,შემსრულებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.
6.2. ,,დამკვეთი“ ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. ,,შემსრულებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,დამკვეთს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. ,,შემსრულებელი“ ვალდებულია გაუწიოს ,,დამკვეთს“ სათანადო ხარისხის მომსახურება.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ,,დამკვეთი“ უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და ,,დამკვეთის“ მოთხოვნებთან.
7.2. ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) საჭიროების შემთხვევაში ,,დამკვეთის" მხრიდან განახორციელებს ნინო ხახუბია - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების უფროსი.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ,,შემსრულებელი" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, იხდის პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ,,შემსრულებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. თუ „შემსრულებლის“ მხრიდან სახეზეა ვალდებულების ან მისი ნაწილის არაჯეროვანი შესრულება, ან შეუსრულებლობა გარდა ვადის გადაცილების შემთხვევებისა, და შემსრულებლისთვის დამატებითი ვადა გასულია ან მის განსაზღვრას აზრი არ აქვს, შემსრულებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 3%- ის ოდენობით.

## 9.დაუძლეველი ძალა - (ფორს მაჟორი)

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ კი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის (ფორს- მაჟორი) გარემოებათა გამო.
9.2 დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
9.3 მხარე რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. დამრღვევ მხარეს უფლება არ აქვს პასუხისმგებლობისაგან

negligence.

9.3 Party who is not capable of performing his obligation under the contract on account of overpowering force is obliged to notify about above mentioned to another party immediately. Otherwise he will not be eligible to require revealing from the obligation under the contract by indicating force majeure circumstances; except if such non-notification was caused by force majeure.

## 10. Contract Amendment/Correction and Termination

10.1 Any amendments and supplements to the contract can be made only by the parties confirmed written agreement signed by the party authorized representatives.

10.2 The change of contract conditions, particularly payment conditions resulting into procuring organization inconvenience is strictly prohibited. Contract terms review is performed in accordance with the Georgian Legislation.

10.3 In case the contract conditions are not fulfilled by one of the parties, other one has the right to cancel the contract unilaterally.

10.4 Party is obliged to send the written notice or email not later than 10 days before informing the other side about the decision stated in the article 10.3.

10.5 The contract can be terminated by consent of the parties after their initiation.

## 11. Disputes Settlement

11.1 Arisen dispute should be solved through negotiations. In case of disagreement, the parties are authorized to refer to the court of Georgia. Applicable law is the Law of Georgia.

## 12. Contract Validity Period

12.1 The present contract comes into force when signed by the parties and is valid to December 31, 2017.

## 13. Other Conditions

13.1 The contract is concluded in three English and Georgian legally identical copies. Two copies are delivered to the procuring organization and another one is retained by the supplier.

13.2 Parties agree with the terms of the present contract and confirming hereinabove terms sign the present contract in accordance with the Georgian Governing Law.

13.3 Copies of documents, transferring via Fax or email have equal juridical obligations for both parties.

გათავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებზე, თუკი შეტყობინების გაუგზავნელობაც არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით წერილობითი ფორმით, რაც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „დამკვეთისთვის". ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეებმა უნდა მიმართონ საქართველოს სასამართლოს. გამოსაყენებელი სამართალია – საქართველოს კანონმდებლობა.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ინგლისურ-ქართულ ენებზე, რომელთაგან ორი გადაეცემა „დამკვეთს" ხოლო ერთი „შემსრულებელს".

13.2. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.3. დოკუმენტის ასლებს, რომლებსაც მხარეები ერთმანეთს გადასცემენ ფაქსით, ელექტრონული ფოსტით და სხვა საშუალებებით, აქვს თანაბარი იურიდიული ძალა ორივე მხარისათვის.

ელ.ფოსტა: n.khakhubia@gobatumi.com
ელ.ფოსტა: aaliyah@maxposureglobal.com

დამკვეთი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

| | |
|---|---|
| E-mail: aaliyah@maxposureglobal.com<br>E-mail: n.khakhubia@gobatumi.com<br><br>**Supplier:**<br><br>**Maxposure Media Group India Pvt Ltd**<br><br>**შპს Maxposure Media Group India Pvt.**<br><br>მთავარი აღმასრულებელი დირექტორი:<br>პრაკაშ ჯოჰარი<br><br>CEO: Mr Prakash Johari | თავმჯდომარე<br>სულხან ღლონტი<br>Procuring Organization:<br><br>Department of Tourism and Resorts of<br>Ajara Autonomous Republic<br>Chairman:<br>Sulkhan Ghlonti |
| | |